კვირა, 20 ივლისი 1914 წ  ფასი 5 კაპ.

# მათრახი

№ 26 იუმორისტ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მათრახი“ გამოდის კვირაში ერთხელ. წლიურად ღირს გაგზავნით 2—50. ნახევარი წლით 1—50. წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе.

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჟურნალი არ მიდის, მსურველთ გაეგზავნება გა'ასყიდათ ფოსტით რამდენსაც მოითხოვს. თითო ცალი დაეთმობა $3^1/_2$ კაპეიკათ. ფულის გამოგზავნა წინ და წინ არის საჭირო.

## მჭედელი.

(ვუძღვნი თ. ქოხ—ს)

ყველას სძინავს ტკბილი ძილით,
კაცთ-სამყაროს, მინდორს და ველს,
იმ დროს როცა მე მაშვრალი
ვიდგამ კისრად შრომის უღელს.

—

გარიჟრაჟზედ ვდგები დილით,
მკერდს მილარავს ოფლის ღვარი,
არ იქნა, ვერ მოვრჩი ტანჯვას
ვერ უპოვე მას სამზღვარი.

—

არ მშორდება, ჩემთან არის,
უკულმართი ბედი კრული
დამწვარი მაქვს ხელი, პირი,
სულ ერთიან გამურული.

—

დიახ ბედმა უსამართლომ
მე გამრიყა და დამსაჯა,
მაგრამ გული არა დრკება
მედგრად მიცემს მაინც მაჯა.

—

შორს, შორს, ჩემგან მწუხარება,
შავი ფიქრი ჭმუნვა, ცრემლი,
დე ცისკრის ჟამს ჩვეულებრივ
ახმაურდეს ჩემი გრდემლი.

—

დე, დაჰბეროს მძლავრად ქურამ
ცაში ასწვდეს ცეცხლის ალი,
მეც მასთან ვარ განუყრელი
იმედს მაძლევს მომავალი...

**გოგია.**



## მეგობრული შარჟები

**ნოე ზომლეთელი.**

ახალგაზდა პოეტი ნოე ზომლეთელი დაიბადა 1906 წელს რვა მარტს, დილის 12 საათზე. მშვენიერი მზიანი დღე იყო. ბებია ქალმა პაწაწა პოეტი ჩვრებში შეახვია და ტახტზე მიდო. არ გასულა სულ რამდენიმე წუთი ნოეს დაბადებიდან, რომ ეზოში ჩამოვიდა ადგილობრივი მამასახლისი ორის ჩაფრით. სახლში მყოფთ შიშით გული კინალამ გაუსქდათ. ბებია ქალი ტახტს ქვეშ შეძვრა ყველანი დაიმალნენ, გარდა პოეტისა, რომელიც უპატრონოთ იდო ტახტზე, ძალზე ჰყვიროდა და პროტესტის ნიშნად ხელებს იქნევდა. მამასახლისი ამაყათ შევიდა სახლში ჩაფრებით, თვალი მოავლო ღარიბ სახლს და დააჩერდა ტახტს რომელსაც ახალი ხალიჩა ეფარა და ზედ პატარა პოეტი მოძრაობდა. გულქვა მამასახლისმა პოეტს ხელი დასტაცა ტახტიდან აიღო, ვითარცა უბრალო ნივთი და კუთხეში დააგდო. „ეს კაი ვიშოვნე ხუცესსაც გავისტუმრებ, დრამის ფულს მივსცემ და სხვაზედაც მეყოფაო“ ჩაილაპარაკა მან და გზას გაუდგა თავის ჩაფრებიანა. ტახტქვეშიდან დამალულები გამოძვრენ და ტირილი დაიწყეს. ამ დროს ყანიდან დაბრუნდა პოეტის მამა და იმანაც თავში ხელები წაიშინა. სიბრაზისაგან აქეთ-იქით სიარული დაიწყო და კინალამ კუთხეში მიგდებულ პოეტს თავზე ფეხი დაადგა. პატარა პოეტმა ეს საშინელი წუთი იგრძნო, რომ მის წარმოშობის ხანა იყო ხანა რეაქციისა და რევოლიუცია უკვე გათავებულიყო. პოეტმა მწარეთ ამოიკვნესა, წამოჯდა კუთხეში და პირველი ლექსი დასწერა, სადაც მან გადმოანთხია თავის ბოლმა ნაღველი, სადაც აგვიწერა პირველი განცდილი საზარელი წუთი. ამ ლექსმა მთელი ოჯახი განცვიფრებაში მოიყვანა. პოეტის მამამ ხელად დაიქირავა ორი

კაცი და ლექსი ოფილისში გაწოგზავნეს „ლამპარი“-ს რედაქციაში. „ლამპარში“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ლექსმა, უმეტესად „ლელოზე“ რომელმაც ველარ მოითმინა და კერძო წერილით სალამი უძღვნა ახალ პოეტს. სწორედ ამ დღიდან იწყება პოეტის ლექსთა დენის ხანა.

ამ საშინელი წუთის გავლენა იმდენათ ძლიერი იყო, რომ მან მთელი ზოლი გაავლო მის ლექსებში, პოეტი, მას აქეთია, ყველგან უსამართლობას ხედავს და მის წინააღმდეგ არის ამხედრებული. ახალგაზდა პოეტმა დიდი დავიდარაბა გამოიარა ცხოვრებაში, მაგრამ ვერაფერმა მისი უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული გული ვერ შეაკრთო და არჩეულ გზიდან ვერ გადაახვევინა. პოეტმა სწავლა სულ ადრე დაამთავრა და მას შემდეგ სხვების სწავლების საქმეს ეწევა.

პოეტი ჯერ სულ ახალგაზდაა, სალიტერატურო დილა [illegible] ჯერ არ გაუმართავს, თუმცა სხვების დილაში კი ბევრჯერ მიიღო მონაწილეობა, ჯანსაღად არის და ეჭვს გარეშეა ბევრ რამეს დასწერს.

**ირეთელი.**

# შუა ხიდზე

წყალთ შუა ეს ტერიტორია
ეროვნულიდან თუმცა შორია,
მარა ქალაქად წოდებულია
ზედ ნავთ-სადგური მოდებულია.
ქალაქ-ნავთ სადგურს აერთებს ხიდი,
რომლის მიმღები ქრისტაფორ დიდი
(იქნებ კოლუმბი გვაგდეთ სახეში!
თქვენ არ გაებათ ასეთ მახეში!)
აშენებლიდან რომ იბარებდა
რაჭულ გემოზე „აძანძალებდა“,
ბაღით ამ ხიდზე გადავდიოდი
„ქვეყნის საქმეზე გულში ვჩიოდი,“
თან ამ ფიქრებში შუა ხიდეზე
მივსულიყავი და ერთ კიდეზე
ორი „ხმოსანი“ გადამდგარიყო
(მზე კი ჩასული ჯერაც არ იყო)
მისჩერებოდენ დასავლის მხარეს
აქ ფაზის-შერთულ პონტოს მქუხარეს,
ჩამავალი მზე აფერადებდა
მნახველთა გულში ზღაპრებს ჰბადებდა.
მან დაავიწყა მნახველს ნახული
და წასასვლელი გზა განზრახული.
გამათი იყო „ხმოსანთა“ შორის
(მეც ეს მინდოდა თქმაი სჯობს სწორის).

**პირველი.**
გაფრინდა თქვენი ძველი დროება
დაგერღვათ აზრი და მეუდროება,
აღარ უჯერავთ ჩვენ თქვენსა **ნიკოს**
ეგ შეცოდება რაც დიდი იყოს,
ახალი აზრი უნდა გავიდეს
და „პოლიცია“ უნდა წავიდეს.
ხმოსნებმა უნდა მართოს ქალაქი
მეწაღე იყოს გინდა დალაქი,
მცხოვრებმა ძოკვცა ხმაი და ნება
ჩვენ არ დავიცვათ აღარ იქნება,
რათ გვინდა სხვისი ელევატორი
(ვერცხლს თუ არ ჰყვარობს ვ.ნმეის ტორი)
ჯერ ჩვენი ვნახოთ როგორი არის
ღირსება თუ აქვს ნახარჯი ფარის
თუ შესძლებს აღთქმულ „აპერაციას“
(თავი მოსწყერით მაშინ **კაციას**)
თორემ ჩვენ ახალს ვაგებთ მეორეს
ახალ „ტეხნიკის“ იაფს და სწორეს,
რათ გავამდიდროთ გადამთიელი,
ქალაქი დარჩეს ოხერ ტიელი?!.
ჩემო **ერმალო** თქვენ არ ხართ სწორი —
არ ვარგა ჩვენი ელევატორი.
თქვენ გინდა აგი „მიაფუჩეჩოდ“
და ქალაქს ხელში რომ შეაჩეჩოთ
მიტომ ეძლევა **პერსენა**ს ბანა
რომ ჩვენმა ტვირთი ვერ მოითმინა
არ დაგანებებთ ჩვენ ამას, არა,
თქვენი პარპაში აქამდიც კმარა

**მეორე.** ვისმინე შენი სიტყვები მწარე
ეს ლაპარაკი რომ გიყვარს ცხარე,
აქ საჭიროა აზრი-გონება
სიტყვა თუ საქმეს შეეწონება,
იმის მოსმენა ძლიერ კარგია
მარა შენი კი მეტი ბარგია
(თუმცა გასწავლის მეუნარგია),
ვიცი თქვენ **ნიკოს** არ დაუჯერებთ
(უფრო **იონას** კი შეიფერებთ)
ელევატორსაც დასდევით წუნი
„ოქროებისაც“ გიუნოსავთ სუნი,
მეორეს კიდევ ახალს აშენებთ
ქალაქს ამდიდრებთ და გაამშვენებთ
თუ პოზიციას გაუარეთ გვერდ
ქალაქის საქმეც ხომ მოაგვარეთ?
მარა მითხარი ვინა ხართ თქვენა
გაქვთ საკმარისი ხედვა და სმენა?
იცით არ ვარგა ელევატორი
რომ გაავრცელეთ ამბავი ჭორი?
თქვენი სარდალი **მიხა, გოგია**
ალბათ ინჟინერ-ტეხნოლოგია
რადგან ჩვენ აგი ვერ დაგიჯერეთ
თქვენ მიადექით გაზეთში სწერეთ
**ნიკომ** ქალაქი დააქციაო,
**იონა** ეგრის გააქციაო,
შამოგვისია „უტუს“ ჯარიდ
ლამის გვადინა სისხლის ღვარიო,
მარა პასუხი რომ დაიწერა
თქვენი არავინ არ დაიჯერა,
მთელი მცხოვრები ჩამოგაშორეს,
ბოლოც მოელო თქვენს ღობე-ყორეს.
ჩვენ მცხოვრებლების ინტერესს ვიცავთ
თქვენ დაგამარცხებთ **სოლომონს** ვფიცავთ.

—

უცბად გამეხსნა მეც სიტყვის მადა
თქმაც მომესურვა ტვინი ამქავდა,
უთხარი: თქვენი მშობლები ცხონდათ,
მარა სადაო მიზნათ რა გქონდათ?!
ქალაქ-მცხოვრებლებს ორთავე იცავთ
([illegible] ამაზე ფიცავთ)
რაღაზე იბრძვით საბედისწეროთ,
ნუ თუ თქვენ „ცდებაით“ ჩვენ დავიჯეროთ?
მარა მე ცოდვილს სხვაფერ მგონია
(თქვენზე მსჯელობა სხვაგანაც მქონია)
აქ იბრძვის **ორი ძლიერი პირი**
რომლებსაც ჰყავხართ ლაშქარი ხშირი.
თანაც სხვა არის ბრძოლის მიზანი
**აქ რა შვაშია მცხოვრებ-ხიზანი!**
ომი იმართვის თბილ-თბილ ბინაზე
და ერთმანეთის „ფისიმ“ ჯინაზე
ალღუმს მართავენ საყვირის ხმაზე
ქვაი არ დარჩეს თუ გინდა ქვაზე,
ამაზე სულაც არ დაგიდევენ
მსუქან ადგილებს თავისკენ სწევენ,
ალბათ თქვენ გიდევთ რაღაცა წილი
ვფიქრობ ამიტომ არ მოგდით ძილი,
ქალაქი ყველას ფეხზე ჰკიდია
გამოსარჩენი როცა დიდია.
ოპოზიცია ავიღოთ თუნდა
(საქმის გასინჯვა ხომ სწორად უნდა)
მათი ბელადი რომ არის ორი
(ეს ხომ არ არის ამბავი ჭორი)
გუშინ ხომ თოფით ერთმანეთს სდევდენ
ერთ-ერთსა მძიმე ბრალდებას სდებდენ,
ზოგს იქ „**სხოდები**“ აგონდებოდა
**ას-ოც სტერლინგზე** დაღონდებოდა,

ზოგს „პრისტროიკით" დაუფრთხეს ძილი
ვითომ ცოდვაში ჰქონოდეს წილი,
მარა პირველმა სძლია მეორე
და ინჟინერიც ისროლა შორე.
ეხლა ესენი გახდენ ძმობილი
„ჩუმი მოღვაწე" პრესით ცნობილი,
მათ სასარგებლოდ აგიტაცია
თხზა ვინც იოხას კარისკაცია,
ვისაც „ორმაგი" უყვარს მისია
ვინც გაინაღდა თავის ნისია.
ასეთი ხალხის მე არა მჯერა
აღარც სიტყვები და აღარც წერა.

**ოლმენ.**

(დასასრული იქნება)

# „ლახტოსნები"

საცინელი სხვებსა სცინის,
დრო დაგვიდგა მეტად ცუდი!..
„მათრახი" თუ ვერ მათრახობს
„მელიას" რათ ეწვის კუდი!..

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ „ლახტს" ჩვენ საკადრისი სახელი ვუწოდეთ—„სანაგველა" (ეს იმიტომ რომ მასში იბეჭდება ისეთი მასალები, რაც მკითხველების გამრყვნელად მიგვაჩნია და რასაც ყოველი რედაქცია ნაგვის გოდორში ჩააგდებდა), ეს სახელი ისე შესაფერი და შეხამებული დარჩა „ლახტ"-ზე, რომ დღეს თავისი მკითხველებიც „სანაგველას" ეძახიან და ქუჩებშიაც გაიგონებთ ასეთ სიმღერას:

„ქალი კაცმა წაიყვანა
ბაღის ყურად, ბნელაშიო,
რაც იქ მოხდა—წაიკითხეთ
ჟურნალ „სანაგველაშიო".

ამ გარემოებას მეტად გაუცოფებია „ლახტი"-ს „ფაქტიური" ხელმძღვანელი „დ. მელია", რომელსაც თავის ტვინის ნაცოდვილევი და თავისიანების ამბავი ჩვენს საწინააღმდეგოთ გაუსაღება და ურცხვათ უმასპინძლდება მკითხველებს. ჩვენ არც დრო გვაქვს და არც ადგილი ყველა შეხურებულ ტვინის ნაყოფს ანგარიში გაუწიოთ, მაგრამ ზოგიერთ მათ ცოდვებზე კი უნდა დავაკვრიოთ მსუნაგი ცხვირი ამ გაიძვერა მელა-კუდებს.

ჩვენს „მათრახ"-ს თურმე ის მიუძღვის ბრალი, რომ ის ძველებური სახით, (ეშმაკების სურათებით) გამოდის, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს მას არ ხელმძღვანელობს იუმ. ეშმაკი და ამით ვითომც რაღაც შანტაჟისტობას სჩადის რედაქცია. (ეს ჩვენმა მკითხველებმაც კარგად იციან, რომ დღეს „მათრახი" ვერ გამოდის იმ სიძლიერით, როგორც ეს გამოდიოდა წინად, იმავე გამომცემლის ხელში, მაგრამ ეს არის დღევანდელი სასტიკი პირობების მიზეზი და აგრეთვე ზოგი ძველი თანამშრომლების, რომლებიც ხელს არ უწყობენ გამომცემელს ძველებურად). არა, გაიძვერა „მელია", რომ ჩვენ ჩვენი ჟურნალი ძველი სათაურებით და შეძლების და კვალათ გამოვსცეთ ამას შანტაჟისტობა როდი ქვია, შანტაჟისტობა და გაიძვერობა იმას ქვია, რასაც თქვენ სჩადიხართ: თქვენ „მათრახი"-ს მიბაძულობით თქვენ ჟურნალს დაარქვით „ლახტი" და ზედ გამოხატეთ ეშმაკი, რომ ეშმაკისა და მათრახის რეკლამით თქვენ ნაცოდვილევსაც გასავალი ჰქონებოდა მშრომელ ხალხში, თქვენ მითომ მუშების ინტერესებს იცავდით (და იცავთ დღესაც), მაგრამ ნამდვილ მუშების მეგობრებს და მათ დამცველ პარტიას ტალახში და ლაფში სვრით, ეს იმიტომ, რომ თანაგრძნობა დაიმსახუროთ თქვენი „ბატონებისაგან". თქვენ მონები ხართ მუშების დამცველ პარტიის მტრების – ფედერალისტების და რომ ასე არ მოიქცეთ, მაშინ დაჰკარგავთ ლუკმას, რომელიც თქვენ „პენსია"-სავით გეძლევათ ფედერალისტების გაზეთის დაარსებიდან. განა ყველა ეს სინამდვილე არ არის? და ყველა ამ ფაქტების შემდეგ რა უფლება აქვს „მათრახს" და მის რედაქტორ-გამომცემელს (რომელთაც ყოველი პატიოსანი მშრომელი პატივსა სცემს თავის გულ-წრფელობაში), ამხანაგურად ხელი გამოგიწოდოს და შეაქოს თქვენი მოქმედება!.. შორს ჩვენგან გაიძვერა მელიები, ჩვენ ასეთ ხალხს დავსცინებთ კიდევაც და ბევრსაც ვიცინებთ მათის საცოდაობით, სატირელი არა გვაქვს-რა. დეე იმათ იტირონ, რომელთაც მკვდრებისაკენ გაუშვერიათ ფეხები და ცოცხლებს ზურგს აქცევენ.

**მათრახოსანი.**

# მოხსენება

**ბაქო-ბალახანა.**

ერთ თვეზედა მეტი არის
გაფიცული ბალახანა,
შეწყდა ქშენა მაშინების,
უმოძრაოდ სდუმს ქარხანა!
მუშებსა ძველ პირობებში
არ უნდათ რომ იმუშაონ,
ბურჟუა, რა ბურჟუაა,
თუ თეთრი არ გააშაოს!
პირველსავე ელდა ეცათ,
კაპიტალისტთ მაღალ კლასებს,
დიახ მათ, ვინც მუშით ცხოვრობს
და მუშებს რომ არ აფასებს!
ეგონათ ორ-სამ-დღის შემდეგ,
დააფრთხობდა მუშებს შიში,
მაგრამ ფუჭი გამოადგათ
და დაებნათ ანგარიში!
მუშებმა სთქვეს: „ჭირის ოფლში
ვიწურებით დღე და ღამე,
თუ ქონებას თქვენთვის ვქმნიდეთ
ჩვენც დაგვითმეთ ცოტა რამე!
ჩვენც ადამიანები ვართ
დაგვიფასეთ ოფლი, შრომა—
გადმოგვხედეთ, რომ მიწასთან
გაგვასწორა შავმა დრომა!
ცხელი ოფლი ფასს დაეძებს,
დაეძებს ფასს ოფლი ცხელი,
ოფლზე ფასი მოგვიმატეთ,
მოგვიმართეთ მუშებს ხელი!
არა?—არც ჩვენ ვიმუშავებთ—
ტანჯვას განვცდით შრომის შვილი
და უყურებთ დროს, როდემდის
ინავარდებთ ფრთებ გაშლილი"!.
გაიგონეს, გაეცინათ,
სთქვეს: „ვა, ეს რა ზღაპარია
სულელებო! რეაქციას
ფიქრობთ სული გაპარია?
მალე გნახავთ ქარხნის ახლოს
იდგეთ ქედ-მოხრილებიო;
შიმშილისგან ყელ-გამშრალებს
დაგკრეჭოდეთ კბილებიო"!
—შიმშილობას ჩვეულნი ვართ
ეს ჩვენთვის არ ახალია

ძველ წესში არ ვიმუშავებთ
რაც მართალი მართალია!
ცა მარტო თქვენ არ დაგრჩებათ
გვწამს ამოვა ჩვენი მზეცა;
მიმოაფრქვევს ძლევის სხივებს—
ვგრძნობთ, მომავლის სუნი გვეცა!

—

და მას შემდეგ გაფიცულნი
თვის განზრახვას იცავს მტკიცეთ,
ცხელი ოფლი ფას დაეძებს,
დაეძებს და დროა მისცეთ!
რომ ისევე ამოძრავდეს
გაფიცული ბალახანა—
ნევთის ფასმა მოიმატა,
მუშაობა არ გსურთ განა?!

**ვაშა-ბაქურა.**



# ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲣᲚᲘ

ყანაში წვიმა არ მიშვებს,
შინ რწყილები და მწერები!
ქუჩაში მოვალეებსა
გამოწვდილი აქვთ ხელები.
ჯიბის კრიზისიც დაერთო
ამ უფერულსა ცხოვრებას,
გულს კაეშანი მომაწვა,
ტანი განიცდის ზმორებას.
მარა შორს ჩემგან თავ-დახრავ,
ძირს დაბრკოლება ყოველი,
სევდები წარმავალია,
ბედის განთიადს მოველი.
ხმა ჩემო სტვირო, ხმა ჩვენი
ისევ გაისმას მქუხარეთ,
მტრებს გულს ნესტრათ დაესოს
და ესალბუნოს მწუხარეთ.

**ოზურგეთლებო**, რა მესმის
საქმე გჭირთ დასაღონები,
ვასილა შავრაზმელისა
სანამ იქნებით მონები.
წყვდიადში გიქრობსთ სიცოცხლეს,
დღე არ გაღირსათ მზიანი
ტოლმაჩევ-ერმოლოვებით
გოლავდნენ ეგ შავდღიანი.
დღეს აფთიაქის დახურვა
ერთობ ყველაზე მეტია
და მიკვირს გული, გურულნო
საგულეს თუ დაგეტია.
აქედან **ფოთსა** ვეწვევი
ბაყაყებისა ზღუდესა,
იქაურ მეღამურებსა
თავზე დავანგრევ ბუდესა.
თავი ფეხებათ არ ვარგა,
რა ეყოლება ჯარია,
ბევრი ცუღლუტი უწყობს ხელს
შემდეგ ავნუსხოთ გვარია.
ლოლუა პრავაკატორი
უნდა ვიხილო ნამდვილად,
ვეტყვი: ცუღლუტო ნუ ფიქრობ
შავს საქმეს ეგრე ადვილად.
უკუ იქეცი სოროში,
ძმებს ვერ წაჰკიდებთ ძმებზედა,
ვერ დაემალვი ქვეყნის თვალს
მწყრალათ არიან შენზედა.
ვაშა მუშებო, არ აჰყეთ
პროვოკატორთა ნებასა,
ამ თქვენი სოლიდარობით
ყველგან მოიმკით ქებასა.
იქიდან ავალ **ქუთაის**
სილოვანს ვინახულებო,
ექიმი ვიყო უწა'ლებ,
საშინჯსა ურახუნებო.
საწყალს ნერვები აშლია
რას ბოდავს რას ედებაო,
ხელში გაუძვრა პარტია
თანაც პანღური ხვთებაო.
შემდეგ **ბაქოსკენ** წავალ და
წავიღებ ამ ჩემ სტვირსაო,
გაფიცულებსა ღიღინით
გაუქრობ გასაჭირსაო.
ვეტყვი—გურიის გლეხი ვარ,
ჩვენცა გვყავს სისხლის მწოველი,
წრეულს ხომ ხინკი არა გვაქვს,
გაისათ ვარესს მოველი.
მაინც გვსურს გვერდში მოგიდგეთ
თვალთაგან ცეცხლის მთოველი
და უკანასკნელ ლუკმამდე
გაგინაწილოთ ყოველი.
სალამი ძმურო... მაგრამ ეჰ,
სტვირი მლალატობს წყეული,
პიი-პუს აღარ იძახის
და დასჩუტვია სხეული!
მე კი უმისოდ ღიღინსა
მარტოდ არა ვარ ჩვეული,
ეხლა ეს ცოტა იკმარეთ,
შემდეგ მომთხოვეთ ბრეული.

**შხანკოლა.**

# ᲮᲛᲐ ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**ჭიათურა.**

ჭიათურის ერთ ყრუ კუთხეს,
სადაც თეატრი განისვენებს,
ბუჩქევიჩის ტრაქტირია
იქ პოებენ საგრილებელს:
ერთ ოთახსა კარტს უთმობენ,
მეორეში ნარდის ბრძენებს,
მესამენი ბილიარდზე
სპილოს ძვლებსა დააჭენებს:
პირველ ოთახში რომ მოხვდეთ,
საჭიროა „პროტექტორი“,
მეორეში საკმაოა
თუ კი გიცნობს ერთი ორი,
მესამეში ყველასათვის
გაშლილია ფართეთ სტოლი
და შეველი თავისუფლათ
ეს რომ მქონდა განაგონი.
ბილიარდზე დავინახე,
თუ არ ვცდები, „გუცა“ მგონი:
პოეზიის „ვაზელინი“,
იშვიათი ჭკუის მქონი.
„ჟოლტი უგოლ“, „კრასნი“ ზევით
გადადევით, გადმოდევით,
უზალთუნი ააწაპნა
ერთი „შარი“-ს გადაწევით.
(ეჰ! რა უყოთ, თამაშია,
ქურდობასაც შეეჩვევი!)
ერთ ხანს „შარმა“ კარგათ მისცა
„კიი“-ც ჰქონდა შესაფერი,
მაგრამ ბოლოს სიხარულმა
დაავიწყა ყველაფერი.
თვალთა ხედვა აერია,
აერია „უდარ“ ხელი,
ჩამოართვეს,—ბილიარდმა
გამოულო განაჩენი..
სიეზდს რჩევა: სტიპენდიებს
მოთამაშეთ თუ აძლევენ

გეფიცებით „გუცა“-ზე კარგთ „ტრახტირებში“ აარჩევენ!

**მ ძე.**

—

**დ. ყვირილა.** ბ-ნ ბესარიონ კელენჯერიძე აშენებს აბანოს იმ მიზნისთვის კი არა რომ ხალხმა იბანაოს არამედ იმიტომ რომ ზაფხულობით, რადგანაც გრილა, აბანოს თავზე ასწავლოს მოწაფეებს, ზამთრობით, რადგანაც ცივა აბანოში შიგნით. კარგი მოსაზრებაა, მოწაფეებსაც ასწავლოს აბანოს თავზე და მუშებსაც აძლიოს განკარგულება და თვალყური ადევნოს. ერთ და იმავე დროს ორივეს ასრულებს.

**ძირმაკარა.**

—

**ბუკის ციხე.** (გურია) 5 ივლისს გამართულ წარმოდგენის დროს დიდი უბედურება შეემთხვათ სცენაზე მოთამაშეთ: სუფლიორიანად ყველას ენა ჩაუკავა წმინდა გიორგიმ. - რამოდენიმე საათის შემდეგ კვლავ შეუდგენ პიესის გაგრძელებას.

– ადგილობრივი სამკითხველო „ფილტვების ანთებით“ არის ავად, პროფესორების სიტყვით მდგომარეობა ძლიერ საშიშია, ხოლო კოოპერატივი „ხრონიჩესკი რევმატიზმით“.

—აქაურმა მასწავლებლებმა საუცხოვოდ შეისწავლეს „ჩაქა“-ს თამაში.

-- დააკმაყოფილეს „სცენის მოყვარე“ ქალების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი.

**კვაწა.**

—

**ქ. სოხუმი.** ამ წლის 33 აგვისტოს სახელ განთქმული მოჭიდავე და საუცხოვო მკრივე ბ-ნი რუბენი დაეჭიდავება „მათრახი“-ს კორესპოდენტ ისკანდერს.

როგორც იოსები და კოწია ირწმუნებიან: რუბენი ისე მაგრათ დასცემს ისკანდერს, რომ წერაც დაავიწყდეს, კითხვაც და ტკანის გზაც.

ისკანდერი შეშინებულია...

სწუხს და ველარ არის კარგა,
ჭამის მადა დაეკარგა,
ჯავრით აღარ ეცინება,
ღამეც აღარ ეძინება,
იცის გვერდი ეტკინება.

**ჟანდერიკს.**



# პროვინციელი მოღვაწეები

## I

### ნიკოკი თაყაიშვილი.

„ნიკოკია თაყაიშვილი
თვით არ იცის რას ჩიოდა
მიდიოდა, მოდიოდა
სულელობდა ბლაყუნობდა“.
ხალხური.

რამდენადაც ჩვენ ნიკოკი თაყაიშვილის ამბავი ვიცით იმდენად გვეშინია მისი გაკუჭების.—ვიცით როგორც წაიკითხავს თუ არა, მისი „მილიციის პრაპორჩიკობა“ ამ სათაურს, მაშინვე შეხტება და შევარდება, უკაცრავად მაშინვე შეიძლება არ შეხტეს, მაგრამ გაიგებს თუ არა რა არის პროვინცია, მაშინ კი გაკუჭდება და პაწეს ხომ აღარა. ან კი როგორ არ უნდა გაკუჭდეს, კაცი მთელ რუსეთში ცნობილია უ გუბერნატარ სვეტლი კნიაზუმ ორბელიანუმ პეშკომ სტოიალუ, უ ნამესტნიკუ აბედალუ, უ ვეზნი ნაჩალნიკუ ლაზარენკუ დოჩკუ ცელი ნოჩუ ტანცულ და ამხელა კაცი და მხოლოდ პროვინციელი მოღვაწე და მეტი არაფერი? დიახ გაკუჭდება მაგრამ რომ გაკუჭდეს სწორედ ჩვენც ეგ გვინდა. მერე რომ გაკუჭდება არ იკითხავთ რას იქს? პირველ ამბავს თუ რას იქს ეგ ჩვენ არ ვიცით (ეგ იცის მისმა ოჯახში მყოფმა, რომელნიც, როგორც ამბობენ ვალდებულია ნიკოკი არ გააკუჭონ) მეორეს ვიცით რომ გამოვა იქვე მისი სახლის მახლობლად საცა ჭადრები დგას და საცა ყოველ დღე თათბირი აქვთ მის თანამგრძნობლებს თუ როგორ და რა გზით მოაჭკუიანონ გურული მშრომელი ხალხი. აქ ის შესჩივლებს მის მეგობრებს ყაზილარების თავის აგდებას, შეუკურთხებს მთავრობასაც, რომ ეს ყაზილარები ამდენ ხანს არ ჩამოკიდა ყველანი, მერმედ შესჩივლებს ეგნატე გრადონაჩალნიკს, მერე მის ურიადნიკს, მერე ქალაქის ბოქაულს, მერე ქალაქის თავს, მერე შევარდება პოლიციაში, მერე შეიძლება დაკრას ფეხი და მისი მათრახით „მათრახი“-ს რედაქციასაც ესტუმროს და მაშინ ვაი თქვენი ბრალი და უფრო ვაი თქვენი დედ-მამის საფლავის ბრალი თუ დიდი ლოდი არ ადევს საფლავზე.

ვიცით, რომ ეს ასე იქნება და ნიკოკი ყოველივე ღონეს იღონებს მეც მნახოს და შენთან ერთად ჩემო „მათრახი“-ს რედაქტორო მეც გამაციმბიროს მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიზამ და ნიკოკით ვიწყებ ჩვენი პროვინციელი მოღვაწეების აღწერა —ჩაფათრეთებას.

ნიკოკის შთამომავლობა.

ნიკოკის წინაპრები სოფელ ლიხაურის მცხოვრები გლეხი სალუქვაძეები იყვნენ.

აი რას ამბობს ხალხური ლექსი საზოგადოდ თავად-აზნაურების და კერძოთ ნიკოკის წინაპრების შესახებ:

„თუ იმით თავს იწონებენ
რომ არიან მითომც პრინცი,

ქოთნის და კოვზის არ იყოს
მათი საქმე უკეთ ვიცი.
კუზა, ჩარჩხი და უფიჩხო
სასაცილოთ მაგონდება,
რომ მ ა რ ც ხ ი თ ა ც შეიძინა
სალუქვაძემ ეს წოდება“. და სხვ...

თუ რა მარცხი იყო ეს რომელიც ასე მშვიდობით დაბოლავდა და გუშინდელ გლეხ სალუქვაძეს აზნაურობა უწყალობა ჩვენ ეგ ვიცით მაგრამ არ ვიტყვით, რადგან ძნელი სათქმელია. და რომ ვსთქვათ ბევრს ცილის წამებაც ეგონება, რომ ეს უბრალო მარცხი გურიის მაშინდელ მთავარს—გურიელს, იმდენად ასიამოვნებდა, რომ სირცხვილისგან გაწითლებულ გლეხს თაყა სალუქვაძეს გააზნაურებდა და ყმასა და მამულს უბოძებდა. მაგრამ დაე ურწმუნონი ნუ ირწმუნებენ მაგრამ ეს ნამდვილია და დღესაც სოფელ ლიხაურში ორივე გვარის ნაშიერი (მამა მ. კელენჯერიძის ქართულით) სალუქვაძენიც და თაყაიშვილებიც ცხოვრობენ. ხშირად როცა თაყაიშვილი სალუქვაძეს წასძახებს: აი შენ გლეხოო სალუქვაძე უპასუხებს: „შენი აზნაურობა ვინ სთქვა, შენ ჩემი სახლის კაცი ხარ—აზნაური კი გურიაში იყო: ბერიძე, ბერეჟიანი, კობალაძე, მახარაძე და სხვებიო“.

ასე იყო თუ ისე, წყალობითა გურიელისათა (თუ საკუთარი მუცლისათა) სალუქვაძე დღეს აზნაურია და თაყაიშვილათ იწოდება. და ამ 65-70 წლის წინად (კარგად არ მახსოვს რადგან მეც მაშინ სულ პაღანა, ასე 75-80 წლის ჭაბუკი ვიყავი) სოფელ ლიხაურში აზნაური სიმონ თაყაიშვილის სჯულიერ მეუღლეს შეეძინა ძე რომელსაც უწოდეს სახელი ნიკოლოზ. პატარა ნიკოლოზი დიდი ყინყლიანი, ავი-ზნის, მუდამ მტირალა და საზოგადოთ დიდი პროტესტის ბავშვი იყო (პროტესტანტობა ნიკოკისა ახლაც განთქმულია მეტადრე სათავად-აზნაურო კრებებზე), მეტად ჯიუტი და თავის ნება. ორი ძმა ყავდა მაგრამ არც მათ და არც სხვა ბავშვებს ის არ ეკარებოდა. მისი საყვარელი მეგობარი იყო მისი მამის ჯორი კოკი. როცა ჯორს დაუძახებდენ: კოკი, კოკი—პატარა ნიკოც ჯორთან ერთად მოირბენდა, ასე ამ რიგათ ნიკო შეეჩვია ჯორის სახელ წოდებას კოკის და როცა უკვე დავაჟკაცდა მორიდებისათვის მის სახელს მიუმატეს ორი ასო ნი და იმიერ ამიერიდან ეძახიან ნიკოკის.

ნიკოკის მამა, მიუხედავათ აზნაურობისა, ფხიზელი კაცი იყო, მან კარგად იცოდა რომ მის შვილებს მარტო აზნაურობა არას უშველიდა, არამედ საჭირო იყო სწავლაც და ამიტომაც შვილები სასწავლებელში მისცა, მაგრამ რადგან ნიკოკის სასწავლებელში თავისი „კოკი“ არ დაურჩა, ადრე მიატოვა და ისევ სოფელს მოაშურა, თორემ ბუნებით ნიჭიერს ნიკოკის სწავლა რომ გიმნაზიის პირველ კლას იქითაც განეგრძო, თუ კი ორ მის ძმას ცნობილ განჯის გენერალს და ცნობილ ისტორიკოსს ორივეს აჯობებდა და ეგეც დღეს ერთი იმ გენერალთაგანი მაინც იქნებოდა, რომელთაც საქართველოს აოხრებისათვის ქართველმა თავად-აზნაურობამ ძეგლი უნდა დაუდგას. რასაკვირველია ჩვენ ეგ არ გვწყინობს, მაგრამ საწყენია ბრწყინვალე წოდებისათვის და აგრეთვე საწყენ-საზარალოა ჩვენის თანამემამულე მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძისათვის. ხუმრობა ხომ არ არის, ნიკოკი იშვიათი სიმაღლის კაცია და მარტო მისი ძეგლის მოდელის გაკეთება (ნიგუზლიით ხელში) სამი ათასი მაინც ეღირებოდა.

(დასასრული იქნება).

**ვასი-ვარადაიო.**

---

# სცენის მოყვარენი

(იხ. „მათრახი“ № 25.)

## VIII.

**ვასილი და დიმიტრი.**

**დიმიტრი.** ეჰ ჩემო ვასილ, მე და შენ რამდენიც უნდა ვიმტვრიოთ თავი, მაინც არა გამოვა რა. კაცო, ყოველთვის სად უგოროთ წითელი კვერცხი.

**ვასილი.** რა ვქნა, ჩემო დიმიტრი, მაშ რა უყოთ. ჩვენც რომ დავანებოთ თავი, ხომ ჩაიშალა საქმე?!

**დიმიტრი.** ეგ მარა, ეს ცრუაძე რომ მსხვილათა ყვირის ვითომ საზოგადო მოღვაწე ვარო, რატომ არ დაიარება რეპეტიციებზედ, რათ გვატყუილებს?

## IX

**იგინივე და ცრუაძე.**

**ვასილი.** აი, აგერ ცრუაძეც მოვიდა!

**დიმიტრი.** ძაღლიახსენე და ჯოხი გვერდზედ მოიდეო! სადა ხარ, კაცო, აქამდის?

**ცრუაძე.** (ხტის) ვა, მოველ რაღა ყარაჩოხულათ, ჯერ ხომ ორის მეტი არა ხართ?

**ვასილი.** ორის მეტი კი არა, შენ ცდაში ყველა გაგვეპარა.

**დიმიტრი.** არა, შენ არ შეგშვენის ასე, ჩემო იოსებ.

**ცრუაძე.** ბიჭოს, რა არ შემშვენის! აი მე აქა ვარ რაღა ძმა ბიჭურათ. თუ გინდა წავიდეთ.

**ვასილი.** ეხლა ვისთვის უნდა დაიწყო? ორი კაცისთვის?

## X

**იგინივე და პორფილე.**

**პორფილე.** (გაკვირვებული) ეგერ არ ყოფილა ჩვენი ცრუაძე? სად იყავ ბატონო, რომ თელათ დავანგრიე რესტორაციები და ვერსად გიპოვნე?

**ცრუაძე.** უკაცრავათ, მე რესტორანებში არ დავიარები.

**პორფილე.** აპა, ყელს არ ჩააცილებ! ისთე გელათის მონასტერიც არაა შეღებილი, რავარც შენი ყეყელი.

**დიმტრი.** (იცინის) როგორ თუ შეღებილი, რითი ბიჭო?

**პორფილე** რითი და შავი ღვინით, ბატონო.

**ცრუაძე.** (გაჯავრებით) იქით დაიკარგე, შე მხეცო. არა შენ ვინა გკითხამს, რომ ლაპარაკობ?

**ვასილი.** გაჩუმდი პორფილე, შენი საქმე არ არის.

**პორფილე.** იმე, ბატონო! აპა ვისი საქმეა? მაგის ძებნაში ხუთი რწყვილი ჩექმა გავცვითე. თუ შეგ-

პირდებათ, ქეც უნდა მევიდეს მის დროზე, თუ არა და მასხრათ რეიზა გვიღებს?! რავა, ბოვშები ხომ არა ვართ მაგისი.

**დიმიტრი**. კაი, პორფილე, გეყოფა.

**პორფილე** რავა კაი, შე კაცო, კაცს შეხედო შუბლი სტაწკი სეკრეტარს მიუგავს და ყოველ დღე ამ სიფართე ტყუილს, მაგი კი არა ხოსია სიკინჭილაძე არ იკადრებს.

**ცრუაძე**. (ძალიან გაჯავრებული) გაეთრიე, შე ვირო, შენა.

**ვასილი**. (პორფილეს) კარგი წადი აქედან.

**პორფილე**. კი, ბატონო, კა წავალ მარა, მაგას არ ეკადრება ასეთი ცრუობა.

**ცრუაძე**. ახლავე კბილებს დაგამტვრევ, შე ნადირო შენა.

**პორფილე**. ერთი ხელი მახელი და იცოცხლოს პორფილემ მაგი ჩიჩილაკივით მოშობილი წვერი აგაპუტო, რავარც ღორის ბანალი.

**დიმიტრი**. (დაუყვირებს) წადი, კაცო, მონახე სცენის მოყვარეები და მოიყვანე. რა წაიგრძელე ენა და აღარა ჩუმდები. ცოლია მოიყვანე არ დაგვიწყდეს.

**პორფილე** კი ბატონო, წავალ. ამ მინუთში მევიყვან, მარა ცოტა ტყუილებს ჰოუკლოს მაგან (გავარდება).

XI

**ვასილი, დიმიტრი და ცრუაძე.**

**ვასილი**. (ცრუაძეს) შე კაცო, ადრე მოდი, რომ იქნება როგორმე მოვამზადო ეს პიესა.

**დიმიტრი**. იოსებ, ხომ იცი ქართული ანდაზა? პირობა კაცს ცოლს წაართმევსო! რომ დაგვპირდი მოდი კიდეც დროზე.

**ცრუაძე**. კაი ახლა, კაცო ხომ არ დამახრჩობთ! რაც იყო, იყო. აბა მოიტა პიესა.

**ვასილი**. (პიესას ეძებს დიმიტრი, პიესა შენ ხომ არა გაქვს?

**დიმიტრი**. მე როდის მომეცი, რომ მთხოვ.

**ცრუაძე** თქვენ პიესაც არა გქონიათ და მე რას მემდურით.

**ვასილი**. (დიმიტრის) შენთან გამოვატანე გუშინ არ მიგიღია?

**დიმიტრი** თვალითაც არ მინახავს.

**ვასილი**. მოდი ეხლა და ჩეჩე მატყლი.

**ცრუაძე**. კაცო, განა ასე უთავბოლოთ საქმის დაჭერა იქნება!

**ვასილი**. ერთი იქით დაიღუპე, მამა გიცხონდება! უთავბოლო თორემ, შენ ძალიან თავბოლოიანი ხარ. შენ რა კაცი ხარ, დღეს იტყვი და ხვალ გადასთქვამ.

**ცრუაძე**. (ნაწყენი) აბა რა გადავსთქვი?

**დიმიტრი**. რა გადასთქვი!!., რომ არც კი სწითლდები?! განა რამდენჯერ მოგვატყუილე, შეგვპირდი სუფლიორობას და აღარ მოხველი (ამ დროს შემოდიან ვახტანგი და მაშიკო).

**გოგია.**

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები.

(აბუსალათინის სააგენტო)

**ოზურგეთი**. ქალაქის მამებს გადაწყვეტილი აქვთ ქალაქის სასწავლებელიც დახურონ. მიზეზათ ამბობენ: შეიძლება შვილები ექიმები გამოგვივიდენ და, სულ ერთია, იგინი დაგვიხურევენ სასწავლებელს, რადგან მეტი დასახურავი არაფერი ექნებაო.

(არა მკითხეს სააგენტოსგან)

**ლანჩხუთი**. ბარიშნებმა შემოიღეს შემდეგი ახალი წყევლა:—მოგადგა ვარდენა სვანიშვილი ფაიტონითო.

—ახალ მოსული ქალ-ვაჟი შეუერთდენ ადგილობრივ მკვიდრთ. საღამოდან შუაღამემდე მუდამ იმართება თანხმობის მოედანზე დიდი სეირნობა, დასაწყისი ჩაკრიმანჭულებულ-ჩაკრიპუჭებული, დასასრული კი...

(ახალი სიოს სააგენტო)

**ს. მუხიანი**. ერმილე და ერმალო დაძმობილდენ. ერთმანეთში პირობა დადვეს არ გაუშვან გაუხსნელათ სხვის სახელზე მოსული წერილები.

—სადგურის მუშები გაიფიცენ: თხოულობენ თითო გასაგზავნ კვიტანციაზე 1 კაპ., რადგან სადგურის უფროსი თანაშემწეებით თითო კვიტანციაში 70 კაპ.—1 მან. იღებენ.

—სამკითხველოს მეთვალყურეს შიშის ქარები აუტეხა სამკითხველოში თაგვების გამრავლებამ.

—აქაური ერთ კლასიანი შკოლა ოთხკლასიანათ გადაკეთდა. ინსპექტორათ მღ. წიქრიძე დანიშნეს, შკოლის ზედამხედველი კი კულაში გაამწესეს. შკოლის გადაკეთებაზე დიდი შრომა გასწიეს მზრუნველებმა.

# წერილები რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის „მათრახი“-ს № 24-ში მოთავსებულია ლექსი: „რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან“, ბ. „ვდევნი“-ს ფსევდონიმით სადაც ეხება ჩვენს პიროვნებას. ვიწვევთ ბ. „ვდევნი“-ს სამედიატორო სამართალში და მოვითხოვთ დაგვიმტკიცოს ჩვენზე წამოყენებული ბრალდებები. ჩვენის მხრით მედიატორებათ ვასახელებთ მარკოზ ხუშტარიას, გიორგი ლაპოვს და ვასილ ლაშქარაშვილს. ვადას ვაძლევთ ამ წერილის დასტამბვიდან ორ კვირას. განაჩენი უნდა გამოცხადებული იქნეს გაზეთში. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვეძლევა შესაფერი სახელი უწოდოთ მას.

ლადიმერ კერესელიძე, შაქრო ქვრივიშვილი და ივანე თევზაძე.

— —

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ ჟურნალში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს: „მათრახი“-ს 23 №-ში მოთავსებულია „გამოცანა“ (ჯუნჯუათისთვის რომლის ავტორი, დ. ბარამიძე. ხალხში ხმებს ავრცელებს თითქოს მე ვყავდე ზემოხსენებულ გამოცანაში გამოსახული. თუ მართლა მე ვყავარ სახეში ვითხოვ ამ წერილის გამოქვეყნებიდან თუთხმეტი დღის ვადაში გამომყვეს სამედიატორო სამართალში. ან და პრესის საშვალებით თავიდან ამაცილოს ეს ბრალდება. ჩემის მხრით მედიატორეებათ ვისახელებ პარმენ ცინცაძეს და ნიკიტა იმნაიშვილს.

პატივის-ცემით ზოსიმე ჯორბენაძე

—

ბ-ნო რედ.! თქვენ იუმორისტულ ჟურნალ „მათრახში“ (№ 24), მოთავსებულია წერილი ლესის შესახებ, რომელშიდაც კორესპონდენტი ჩირქს მცხებს, ამისთვის ვიწვევ ბ. „ეფრემ დევნილს“ გამომყვეს სამედიატორო სამართალში და ერთი კვირის ვადაში დაასახელოს თავისი მედიატორეები. ვაძლევ აგრეთვე წინადადებას ბ. „ეფრემ დევნილს“ ა. ურუშაძე მედიატორედ არ იქნას არჩეული რადგან მე და მის შორის უკმაყოფილობა არის. ჩემს მედიატორეებათ

იქნებიან: მღ. რაფიელ კალანდაძე და ერმალოზ ჩახვაძე, განაჩენი უნდა გამოცხადდეს გაზეთებში. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ შესაფერი სახელი უწოდო.

პატივისცემით კოლია სარჯველაძე.

—

**პასუხი ერმალო ჩახვაძეს.**

როგორც სჩანს, ჩემს კორესპონდენციას თქვენ დიდათ გაუჯავრებიხართ და როგორც შეეფერებოდა თქვენისთანა ლეკურიან ვაჟკაცს და სოფლის მწერალს, ფახა-ფუხით სამედიატორო სამართალში მიწვევთ. ვასრულებ თქვენ სურვილს სიამოვნებით მიგყვებით სამართალში. ჩემის მხრით ვასახელებ ვალერი ქყონიას და კოსტა სურგულაძეს, რომლებსაც ვსთხოვთ გამოკითხონ გლახუნ ჩახვაძეს თუ რისთვინ მოგაისქნათ მან რამდენიმე თუმანი, როდესაც მისი შვილი მიხაკო სამხედრო სამსახურში უნდა მისულიყო, დაკითხონ აგრეთვე სოფლის ვექილებს დაუჭირეთ თქვენ მხარი მამასახლისს, როცა მის საქმეს ბოქაული ძიობდა, თუ არა. სხვა რამეების მხილება თვით სოფლებისთვინ მიმინდვია.

„მეზობელი“.

—

**ღია წერილი**

**სამასხარო. ე. ი. „იუმორისტულ“ ჟურნალს „ლახტს“ და მის თანამშრომელს ზილი პიპო-სკანდარიკოს.**

—

ბ. ბ.! „ლახტი“-ს 19 ნომერში მიტომ ლახტობანას მეთამაშებით და სხვათა შორის ასეთ მარგალიტებს ხმარობთ „მართალია ეხლა ამ დალოცვილ ქალაქში ძალიანი სიცხეები მოუჭირა, მარა ბ. გ. თ—ძეს რა უნდა გამოლაყებოდა არ ვიცი, რაც არა აქვს“.

ზილიპიპო-სკანდარიკო! მჯერა რომ თქვენ კი გქონიათ გამოსალაყებელი და აკი გამოგლაყებიათ კიდეც! აი დამტკიცებაც.

გამოლაყებული კვერცხი თავის თავად უვნებელია და მასთან უსარგებლოც, მაგრამ საკმარისია, რომ იმას ოდნავ შეეხო, ის გაიბზარება და ისე აყროლებს მიდამოს და მის ნამდვილს სამყაროს, როგორც თქვენი კალმის ნაწარმოები, რომელსაც საკმარისი იყო ოდნავ შეეხებოდი „მათრახში“ „ლახტს“ რომ ის, ბ-ნი ზილიპიპოსკანდარიკო გაბზარულიყო—სიცხისგან გალაყებული კვერცხივით და ბაგითა თქვენითა გადმოენთხია სიმყრალე.

მაგრამ გული დაიმშვიდეთ ყმაწვილო ასეთი ზნე მარტო ლაყე კვერცხს არ სჭირს; არის ერთი ცხოველიც, რომელსაც იმედია მიხვდებით, როცა თავისთვის გდია უვნებელია, მაგრამ თუ ვინმე შეეხო ისე აყროლდება, რომ იქ გაჩერება შეუძლებელია.

მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, რომ თქვენც ერთი კალმის წვერის ოდნავ შეხებით, აგეთი ფარსაგ რამ დაგემართებოდათ, აფსუს კალმოსნებო! გატყობთ ძალიან მოქმედებს თქვენზე სიცხე!.

გიგო თოიძე.

# განცხადება

ღარიბ ღატაკთა, გაჭირვებულთა და ხელმოკლეთა საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ვიძლევი სესხათ ფულს ხელ-მისაწვდენ სარგებელში: თუმანს თვეში ათ შაურათ; სესხის აღების უზრუნველ საყოფათ ვღებულობ გირაოთ უძრავ-მოძრავ ქონებას და არც ოქრო-ვერცხლის ნივთებზე ვიტყვით უარს.

მისამართი: ბათომის დეპო,

ლუარსაბ ჯანელიძე.

# საერთა-შორისო ომის მოლოდინში




დიპლომატები შემოკრბენ,
ამაზედ ჰქონდათ დაობა:
„არც მეტი სილაჩრევარგა,
არც მეტი გამბედაობა.
ავსტრიამ – სერბიელებთან
გამოიჩინა ქვაობა
და მთელ ქვეყანას აცრემლებს
იმათი საცოდაობა“.

—

ომისა ღმერთმა იხილა
ეს საიდუმლო ყრილობა
და განიზრახა—ყველასთვის
მიეცა თითო ჭრილობა,
მაგრამ რა ნახა: მრავალთა
ესოდენ დაღრეჯილობა—
პირი იბრუნა უმარცხოთ,
გამოიჩინა ზრდილობა.

მა—ნი